

შპს დიპლომატ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 დიპლომატ ჯორჯია და მისი საქმიანობა	5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	5
3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	5
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
5 ფასს-ების პირველად გამოყენება.....	14
6 ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობის და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	15
7 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები	16
8 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
9 ძირითადი საშუალებები	21
10 არამატერიალური აქტივები	22
11 სხვა გრძელვადიანი აქტივები	22
12 მარაგი	22
13 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები.....	23
14 ფული და ფულის ექვივალენტები	25
15 საწესდებო კაპიტალი.....	25
16 ნასესხები სახსრები.....	26
17 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	27
18 ამონაგები	27
19 სხვა შემოსავალი.....	28
20 მარკეტინგის და დისტრიბუციის დანახარჯები	28
21 ადმინისტრაციული ხარჯები	28
22 სხვა ხარჯები	29
23 მოგების გადასახადი	29
24 გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოვალეობები	30
25 ფინანსური რისკის მართვა.....	31
26 რეალური ღირებულების გამჟღავნება	35
27 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით.....	36
28 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	36

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს დიპლომატ ჯორჯია-ს მფლობელს და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შპს დიპლომატ ჯორჯია-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

რისი აუდიტი განვახორციელეთ

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებს და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშის შემდეგ ნაწილში: *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ კომპანიისაგან დამოუკიდებლები ვართ *ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს* მიერ შემუშავებული *პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის* (IESBA-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებულ 'მმართველობით ანგარიშგებას', (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის ანგარიშს), რომელიც მოსალოდნელია, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, მათ შორის 'მმართველობით ანგარიშგებას'.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენ

პასუხისმგებელნი ვართ წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია როდესაც იგი ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის და განვსაზღვროთ ეს სხვა ინფორმაცია ხომ არ არის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან ჩვენს მიერ აუდიტის ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას. ამასთან, ჩვენ მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, 'მმართველობითი ანგარიშგების' გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, 'მმართველობითი ანგარიშგება' მოიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ გამოვუშვებთ განახლებულ ანგარიშს, სადაც ან განვაცხადებთ რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება, ან აღვწერთ არსებით უზუსტობას რომლებსაც აღმოვაჩენთ აღნიშნულ 'მმართველობითი ანგარიშგებაში' გარემოებების შესახებ ჩვენი ცოდნის საფუძველზე, რომელიც მივიღეთ ჩვენს მიერ აუდიტის ჩატარებისას. ზემოთ ნახსენები მოსაზრება ჩვენი განახლებული ანგარიშის ნაწილი იქნება.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ აქვს სხვა რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში მოიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გავცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის ჩატარების მთელ პერიოდში. ჩვენ ასევე ვახორციელებთ შემდეგს:

- ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება, გამოწვეული იქნება ეს თაღლითობით თუ შეცდომით, და აუდიტორული პროცედურების შემუშავება და განხორციელება აღნიშნული რისკების საპასუხოდ და აუდიტორულ მტკიცებულების მოპოვება, რომელიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით განპირობებული არსებითი უზუსტობის ვერ გამოვლენის რისკი უფრო დიდია, ვიდრე შეცდომით

გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორ წარმოდგენას, ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- აუდიტთან დაკავშირებული შიდა კონტროლის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შესწავლა, რათა შევიმუშავოთ ისეთი აუდიტორული პროცედურები, რომლებიც არსებულ გარემოებებს შეესაბამება, მაგრამ არა იმისათვის, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მართებულობის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გამოტანა ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მართებულობის შესახებ, და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე დასკვნის გამოტანა არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვი წარმოქმნას კომპანიის შესაძლებლობაზე, რომ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ მოგვეთხოვება აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებში, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები არ არის ადეკვატური, მოვახდინოთ აუდიტორული მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა, ან პირობებმა შეიძლება განაპირობოს კომპანიის როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა.
- ფინანსური ანგარიშგების საერთო წარდგენის, სტრუქტურის და შინაარსის, მათ შორის განმარტებითი შენიშვნების, და აგრეთვე იმის შეფასება, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები ისე არის თუ არა ასახული, რომ მიღწეულ იქნას სამართლიანი წარდგენა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ სხვა საკითხებთან ერთად ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

[ხელმოწერა]

შპს ფრაისვოთერჰაუსკუპერს საქართველო-ს (Reg.# SARAS-F-775813) სახელით

ლაშა ჯანელიძე (Reg.# SARAS-A-562091)

[ხელმოწერა]

თბილისი, საქართველო
27 მარტი, 2018 წ.

DIPLOMAT GEORGIA LLC

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

	შენიშვ	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	17,080	15,787	14,007
არამატერიალური აქტივები	10	1,968	2,013	2,278
სხვა გრძელვადიანი აქტივები	11	1,191	1,538	1,917
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,239	19,338	18,202
მოკლევადიანი აქტივები				
მზრგი	12	13,882	9,551	11,708
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	13	36,915	28,609	23,346
მიმდინარე მოგების გადასახადის ავანსი	23			67
ფული და ფულის ექვივალენტები	14	532	459	1,842
სულ მოკლევადიანი აქტივები		51,329	38,619	36,963
სულ აქტივები		71 568	57,957	55,165
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	15	1	1	1
გაუნაწილებელი მოგება		26,303	19,318	16,571
სულ საკუთარი კაპიტალი		26 304	19,319	16,572
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	16	15,155	5,938	7,957
გადავადებული მოგების საგადასახადო ვალდებულება	23			1,030
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15,155	5,938	8,987
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	16	16,438	20,055	11,248
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	17	13,671	12,314	18,358
მიმდინარე საგადასახადო კრედიტორული დავალიანება	23		331	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		30,109	32,700	29,606
სულ ვალდებულებები		45,264	38,638	38,159
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		71,568	57,957	55,165

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2018 წ. 27 მარტს

თამარ
კოვზირიძე
გენერალური
მენეჯერი

ალონ
მოლაჰაიმიან
ფინანსური
დეპარტამენტის
უფროსი

DIPLOMAT GEORGIA LLC

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ამონაგები	18	171,965	140,413
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(131,180)	(105,044)
მთლიანი მოგება		40,785	35,369
სხვა შემოსავალი	19	1,397	2,489
მარკეტინგის და დისტრიბუციის	20	(18,808)	(16,345)
დანახარჯები			
ადმინისტრაციული ხარჯები	21	(8,172)	(7,371)
სხვა ხარჯები	22	(5,540)	(5,824)
საოპერაციო მოგება		9,662	8,318
ფინანსური შემოსავალი		38	46
ფინანსური დანახარჯები		(2,214)	(1,752)
წმინდა სავალუტო ზარალი		(956)	(1,564)
მოგება მოგების გადასახადით		6,530	5,048
დაბეგვრამდე			
მოგების საგადასახადო კრედიტი	23	455	259
წლის მოგება		6,985	5,307
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		6,985	5,307

The accompanying notes on pages 5 to 36 are an integral part of these financial statements.

DIPLOMAT GEORGIA LLC

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშები

(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წ. 1 იანვარს	1	16,571	16,572
წლის მოგება	-	5,307	5,307
სულ წლის სრული შემოსავალი	-	5,307	5,307
გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა15)	-	(2,560)	(2,560)
ნაშთი 2016 წ. 31 დეკემბერს	1	19,318	19,319
წლის მოგება	-	6,985	6,985
სულ წლის სრული შემოსავალი	-	6,985	6,985
ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბერს	1	26,303	26,304

The accompanying notes on pages 5 to 36 are an integral part of these financial statements.

DIPLOMAT GEORGIA LLC
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		6,530	5,048
შესწორებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10	3,248	2,845
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გასვლიდან	9	(57)	(102)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		956	1,564
დაზიანებული და ვადაგასული საქონლის ჩამოწრა	22	238	237
საპროცენტო ხარჯი		2,214	1,752
გამოუყენებელი შვებულებების ანარიცხები		169	348
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხები	17	214	73
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები მარაგის (გაზრდა)/შემცირება		(4,569)	2,142
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაზრდა		(8,471)	(4,681)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების შემცირება		1,007	(5,044)
სხვა გრძელვადიანი აქტივების შემცირება		(6)	-
ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		1,473	4,181
გადახდილი პროცენტი		(1,728)	(2,899)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(457)
წმინდა ფულადი ნაკადი (გამოყენებული)/ საოპერაციო საქმიანობიდან		(255)	825
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შესყიდვა	9	(3,972)	(4,433)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	10	(281)	(965)
ამონაგები ძირითადი საშუალებების გასვლიდან		188	201
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,065)	(5,197)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან თანხის შემოსვლა ნასესხები სახსრებიდან	16	86,521	17,209
ნასესხები სახსრების გადახდა		(82,209)	(10,829)
გადახდილი დივიდენდები		-	(2,730)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		4,312	3,650
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		81	(661)
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა გაზრდა/(შემცირება)		73	(1,383)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	14	459	1,842
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	14	532	459

The accompanying notes on pages 5 to 36 are an integral part of these financial statements.

1 დიპლომატ ჯორჯია და მისი საქმიანობა

შპს დიპლომატ ჯორჯია („კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

კომპანია დაფუძნდა 2008 წლის 17 ივნისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 204557121.

კომპანიის უშუალო ძირითადი საწარმო და 100%-ის მფლობელი არის Diplomat Distributors (1968 წ.), ისრაელში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. კომპანიის საბოლოო ძირითადი კომპანია არის Ramon Cosmetics (Holdings) Ltd.

2017 წელს კომპანიაში საშუალოდ 638 თანამშრომელი იყო დასაქმებული (2016 წ.: 487).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სილამაზის, საოჯახო და ჯანდაცვის პროდუქციის ფართო სპექტრის დისტრიბუცია და გაყიდვა დამოუკიდებელი საბითუმო ქსელის მეშვეობით. კომპანია არის Procter & Gamble-ის (P&G) და Nestle-ს პროდუქციის ექსკლუზიური და ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. მას ფილიალები აქვს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში და საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. P&G-ის და Nestle-ს პროდუქტებთან ერთად კომპანია ახორციელებს აგრეთვე სურსათის და სასმელი პროდუქტების დისტრიბუციას.

რეგისტრაციის და საქმიანობის განხორციელების ადგილი. კომპანია დაფუძნებულია და ძირითადად საქმიანობას ახორციელებს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0109, ისანი-სამგორის რაიონი, ჩანტლაძის ქ. #10, I შესახვევი.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში (GEL).

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოს აქვს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირად იცვლება.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ზომებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ საკითხებთან ერთად.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის წინასწარგანჭვრეტა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, და შესაბამისად არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს რა გავლენა, თუ ასეთი იქნება, შეიძლება ჰქონდეს მას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობის და განვითარების მხარდასაჭერად.

3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც მომზადებულია ბასსს-ს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“IFRS”) შესაბამისად.

DIPLOMAT GEORGIA LLC

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2017 წ. 31 დეკემბერი
(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

კომპანიის ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. კომპანიამ ფასს-ები მიიღო ფასს-ის 1, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, შესაბამისად. გარკვეულ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, ფასს 1-ით მოითხოვება 2017 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტების და ინტერპრეტაციების რეტროსპექტულად გამოყენება. ისინი გამოყენებული იქნა ფასს-ების მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მოსამზადებლად 2016 წლის 1 იანვრისათვის და შემდგომ პერიოდებში, ფასს-ების გამოყენების პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულამდე.

შეფასების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება აგრეთვე ხელმძღვანელობის მიერ განჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია შენიშვნაში 6.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”).

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით კონვერტაციიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯების სახით. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით.

2017 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური სავალუტო კურსი იყო: 1 აშშ დოლარი (“USD”) = GEL 2.5922 და 1 ევრო (“EUR”) = GEL 3.1044 (2016 წლის 31 დეკემბერს:

USD 1 = GEL 2.6468 და EUR 1 = 2.7940; 2015 წლის 31 დეკემბერს: USD 1 = GEL 2.3949 და EUR 1 = 2.6169).

დღეისათვის ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული აკუმულირებული ცვეთით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროების შემთხვევაში. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან ცალკე აქტივად აღიარდება, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

DIPLOMAT GEORGIA LLC

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2017 წ. 31 დეკემბერი
(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

- ▮ მოწყობილობები და ინვენტარი 2-6 წელი
- ▮ ავტომატები და სხვა 3-7 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული შეფასებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნიათ, და ძირითადად წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით და ლიცენზიებით.

შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შემენის და გამოყენების დასაწყებად გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

შექმნაზე გაწეული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რასაც აკონტროლებს კომპანია, აღირიცხება არამატერიალური აქტივების სახით, თუ მოსალოდნელია ნაზრდი ეკონომიკური სარგებლის, რაც აჭარბებს დანახარჯებს, შემოსვლა. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯებს და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს. ამ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯები, მაგ. მისი მოვლა-შენახვის ხარჯები, გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფის და ლიცენზიების სასარგებლო მომსახურების ვადები 3 წლიდან 10 წლამდე დიაპაზონშია.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, უდიდეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივებს, რომლებსაც განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნიათ და მზადაა გამოსაყენებლად, არ ერიცხებათ ამორტიზაცია და ყოველწლიურად ხდება მათი გაუფასურებაზე ტესტირება. აქტივების, რომლებსაც ერიცხებათ ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებას განიხილავენ, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ამოღებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა ხდება (ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების (გუდვილის გარდა) ადრინდელი გაუფასურებები ყოველი საანგარიშგებო თარიღით განიხილება შესაძლო ანულისების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი რესურსი). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 26.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გარიგების დანახარჯები გახლავთ ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში შემცირებული ჩამოწერილი გაუფასურების ზარალით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის თანხაზე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ოთხ კატეგორიად: (ა) სესხები და მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები, აღრიცხული რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს თავის მხრივ ორი ქვეკატეგორია გააჩნიათ: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) დაფარვის ვადამდე ფლობილად კლასიფიცირებული.

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა გაყიდვა აქვს განზრახული კომპანიას ახლო მომავალში. კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს 'სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს' და 'ფულს და ფულის ექვივალენტებს' ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, როდესაც ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (როგორცაა მაგალითად ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯები) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს 'სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს' და 'ნასესხებ სახსრებს' ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება. გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები, წარმოებულები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, მიმატებული გარიგების დანახარჯები. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას.

ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადებში, შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით, რაც გახლავთ თარიღი, როდესაც კომპანიამ აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფული და ფულის ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულის და ფულის ექვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღრიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის („ზარალის გამომწვევი მოვლენები“) შედეგად, რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ და რასაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის, საიმედოდ შეფასებად სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასა და ვადებზე. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, მიუხედავად იმისა მნიშვნელოვანია იგი თუ არა, იგი მოცემულ აქტივს ასახავს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და მათ კოლექტიურად შეაფასებს გაუფასურებაზე. ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ითვალისწინებს იმისათვის, რომ განსაზღვროს გაუფასურებულია თუ არა ფინანსური აქტივი, გახლავთ ვადაგადაცილების მდგომარეობა და დაკავშირებული უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება, გამოიყენება აგრეთვე შემდეგი კრიტერიუმები:

- პარტნიორი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რასაც ადასტურებს კომპანიის მიერ მოპოვებული მისი ფინანსური ინფორმაცია;
- პარტნიორი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- ნაციონალური ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებების შედეგად უარყოფითი ცვლილება მსესხებლის მიერ სესხის დაფარვის სტატუსში, რაც გავლენას ახდენს მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

გაუფასურებაზე კოლექტურად შეფასების მიზნებისათვის ფინანსურ აქტივებს აჯგუფებენ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მახასიათებლები შესაფერისია მსგავსი აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისათვის, რადგან ისინი გვიჩვენებენ მოვალის უნარს, განახორციელოს შესაფასებელი აქტივების სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული ყველა გადახდა.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების ჯგუფის ფულადი ნაკადები ფასდება ამ აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და ხელმძღვანელობის გამოცდილების საფუძველზე იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გადავადდება თანხების დაფარვა წარსულში მომხდარი ზარალის მოვლენების გამო, და აგრეთვე ვადაგადაცილებული თანხების ამოღების ისტორიის საფუძველზე. წარსული გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა გათვალისწინებული იქნეს იმ არსებული პირობების გავლენა, რომლებიც წარსულ პერიოდებში არ ახდენდნენ გავლენას და რათა არ იქნეს გათვალისწინებული წარსულში არსებული იმ პირობების გავლენა, რომლებიც დღეს აღარ არსებობს.

თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაისინჯება ან სხვაგვარად მოდიფიცირდება მსესხებლის ან გამცემის ფინანსური სირთულეების გამო, მაშინ გაუფასურების შეფასება ხდება თავდაპირველი, მოდიფიცირებამდე არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. შემდეგ გადასინჯული აქტივის აღიარება შეწყდება და ახალი აქტივი აღიარდება რეალური ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის რისკები და სარგებელი არსებითად არის შეცვლილი. როგორც წესი, აღნიშნულის მტკიცებულება გახლავთ არსებითი განსხვავება თავდაპირველი ფულადი ნაკადების და ახალი, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებებს შორის.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ანარიცხების ანგარიშის მეშვეობით ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებამდე (რაც არ შეიცავს სამომავლო საკრედიტო ზარალს, რომელიც ჯერ არ არის მიღებული). უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშებაში გათვალისწინებულია ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას დაგირავებული ქონების მეგირავნის საკუთრებაში გადასვლიდან, შემცირებული გირაოს მიღების და გაყიდვის ხარჯებით, მიუხედავად იმისა, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების მეგირავნის საკუთრებაში გადასვლა.

თუ შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და აღნიშნული შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული მოვლენასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ (როგორიცაა მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მაშინ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება ანარიცხების ანგარიშის კორექტირებით მოცემული წლის მოგება-ზარალის მეშვეობით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება დაკავშირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხის საპირისპიროდ აქტივის ამოსაღებად ყველა აუცილებელი პროცედურის განხორციელების და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში ამოღება დაკრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე მოცემული წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე რომელიც რეალური ღირებულებით არ აღირიცხება რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს, თუ კაპიტალიზების დაწყების თარიღი არის 2016 წლის 1 იანვარი ან შემდგომი თარიღი.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის თარიღი, როდესაც (ა) ჯგუფი ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის; (ბ) იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად. კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება გრძელდება იმ თარიღამდე, როდესაც აქტივები ძირითადად მზადაა გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

კომპანია ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო კვალიფიციურ აქტივებზე. კაპიტალიზებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება კომპანიის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება კვალიფიციურ აქტივებზე დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად კვალიფიციური აქტივის შეძენისათვის. ასეთ შემთხვევაში კაპიტალიზდება კონკრეტული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებით ფაქტიურად გაწეული დანახარჯები, შემცირებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლით ამ ნასესხები თანხების დროებითი ინვესტირებიდან.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი/(კრედიტი) მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს, და აღიარდებოდა წლის მოგება ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი დაკავშირებული იყო ოპერაციებთან, რომლებიც იგივე ან სხვა პერიოდში აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი გახლავთ თანხა, რომელიც მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნება მისაღები მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახება ბალანსის ვალდებულების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან შემდეგში შევა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანულირდება ან გამოყენებული იქნება შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანულირდება და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნება იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება, როდესაც არსებობს იურიდიულად აღსრულებადი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივებით მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადფარვისათვის და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებულია იგივე საგადასახადო ორგანოს მიერ იგივე დასაბეგრი საწარმოზე ან სხვა დასაბეგრი საწარმოებზე, როდესაც არ არსებობს ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასახადი გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებული დივიდენდების ფაქტიურ მოგების გადასახადს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივის და ვალდებულების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბერს და შესაბამისი გავლენა ასახა 2016 წლის მოგება-ზარალში. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, დარიცხული დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული დარიცხული დღგ გადავადდება 5-10 წლით იმ საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შეძენაზე. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)
ხარჯებით.

ფასდაკლებები, ბონუსები და კომპენსაციები. ზოგჯერ საქონლის მომწოდებლები კომპანიას სთავაზობენ სავაჭრო ფასდაკლებებს, ბონუსებს და კომპენსაციებს, რაც შემდეგნაირად აღირიცხება:

სავაჭრო ფასდაკლებები, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა მსგავსი მუხლები გამოიქვითება მარაგის შესყიდვის დანახარჯებიდან.

გაყიდვებთან დაკავშირებული ხარისხობრივი ინდიკატორების მიღწევისათვის მომწოდებლებისაგან მიღებული ბონუსები გამოიქვითება უშუალოდ გაყიდული საქონლის თვითღირებულებიდან.

კომპანიის მიერ მომწოდებლის სახელით გაწეული კონკრეტული დანახარჯების ანაზღაურებისათვის მომწოდებლებისაგან მიღებული კომპენსაციები გადაიფარება შესაბამისი ხარჯებით (როგორიცაა მაგალითად რეკლამის, მარკეტინგის ხარჯები, მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ფასდათმობები/ფასდაკლებები, და ა.შ.).

ბაზრის ან ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენისთვის (როგორიცაა მაგალითად სავალუტო კურსების არახელსაყრელი ცვლილებები, ინფლაცია, და ა.შ.) მომწოდებლებისაგან მიღებული ზოგადი კომპენსაცია აღიარდება, როგორც სხვა შემოსავალი იმ პერიოდში, როდესაც თანხა საიმედოდ განისაზღვრება (ანუ როდესაც დამტკიცდება მომწოდებლის მიერ).

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი დადგენილია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ცვლილება (სააქციო კაპიტალის, საკუთრების და სხვა ჩათვლით) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ ვალდებულებისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინსაწარი გადახდის სახით.

როდესაც კომპანია მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, ეს ანაზღაურება აღიარდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტიურად გარდუვალია.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც კომპანიის საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამონაგები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკების და უკუგების გადაცემის მომენტში, როგორც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც კომპანია თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა კლიენტს.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეული იქნა მომსახურება, კონკრეტული ოპერაციის შესრულების ეტაპის გათვალისწინებით, რაც ფასდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების წილით მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავლი აღიარდება დროის პროპორციულ საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი (როგორცაა მაგალითად ჯანდაცვის მომსახურება და საბავშვო ბაღის მომსახურება), დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეული იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანია არ ეწევა რაიმე ხარჯებს თანამშრომელთა პენსიების ან შრომითი საქმიანობის შემდგომი სხვა გასამრჯელოების სახით.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის, ვინც ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს, მიერ დამტკიცება.

5 ფასს-ების პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შესაბამისობაშია ფასს-თან. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2016 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, ფასს 1-ით მოითხოვება ფასს-ის იმ ვერსიის რეტროსპექტულად გამოყენება, რომელიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, ფასს-ის შესაბამისი პირველ ფინანსურ ანგარიშგების ფასს-ის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისათვის 2016 წლის 1 იანვარს და შემდეგ პერიოდებში. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა სხვა ფასს-ების რეტროსპექტული გამოყენების სავალდებულო გამონაკლისები და არჩია შემდეგი არასავალდებულო გამონაკლისების გამოყენება:

- (a) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. კომპანიამ არჩია ბასს-ში 23 მოცემული მითითებების გამოყენება, რომლებიც მოითხოვება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან.

გამონაკლისები რეტროსპექტული გამოყენებიდან, რაც სავალდებულოა ფასს 1-ის შესაბამისად, გახლავთ შემდეგი:

- a) შეფასებები. ფასს 1-ის შესაბამისად შეფასებები 2016 წლის 1 იანვარს და 2016 წლის 31 დეკემბერს თანმიმდევრული უნდა იყოს იგივე თარიღებით მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ების მიხედვით გაკეთებული შეფასებებისა.
- b) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომელთა აღიარების შეწყვეტა განხორციელდა ფასს-ზე გადასვლამდე, ხელახლა არ აღიარდება ფასს-ის შესაბამისად. ხელმძღვანელობამ არ არჩია ბასს 39-ში მოცემული აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმების ვადაზე ადრე გამოყენება.

ფასს-ებზე გადასვლამდე კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ‘მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების’ შესაბამისად (ფასს-ები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის). ფასს-ების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად კომპანიის მიერ ანგარიშგებული საკუთარი კაპიტალი არ განსხვავდება ფასს-ების შესაბამისად 2016 წლის 1 იანვარს და 2016 წლის 31 დეკემბერს ანგარიშგებული საკუთარი კაპიტალისაგან.

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფასს-ების შესაბამისად კომპანიის მიერ ანგარიშგებული მოგება არ განსხვავდება ფასს-ების შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ანგარიშგებული მთლიანი სრული შემოსავლისაგან.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფასს-ების შესაბამისად კომპანიის მიერ ანგარიშგებული კომპანიის საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური ფულადი ნაკადები არ განსხვავდება ფასს-ების შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ანგარიშგებული ფულადი ნაკადებისაგან.

იმ კომპანიების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს-ებს, არ უნდა შეიცავდეს ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღების ეფექტებს.

6 ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობის და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება. დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხები ემყარება კომპანიის მიერ კონკრეტული მომხმარებლისგან თანხების ამოღებადობის შეფასებას. ძირითადი მომხმარებლის საკრედიტო რეიტინგის გაუარესების ან ფაქტიურად დეფოლტის შემთხვევების სიხშირე შეფასებულზე მაღალია, ფაქტიური დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებულისაგან. როდესაც კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებულ დებიტორულ დავალიანებასთან, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, მიმართებით, იგი მოცემულ დებიტორულ დავალიანებას შეიყვანს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების დებიტორული დავალიანებების ჯგუფში და მათ კოლექტიურად შეაფასებს გაუფასურებაზე.

გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასების მიზნებისათვის დებიტორულ დავალიანებებს აჯგუფებენ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მახასიათებლები შესაფერისია მსგავსი აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისათვის, რადგან ისინი გვიჩვენებენ მოვალის უნარს, განახორციელოს შესაფასებელი აქტივების სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული ყველა გადახდა. სავაჭრო დებიტორული დავალიანებას, რომელიც ინდივიდუალურად შეფასებულია, რომ არ არის გაუფასურებული, კოლექტიურად აფასებენ გაუფასურებაზე კომპანიის მიერ მსგავსი ასაკის დებიტორული დავალიანებების ამოღების ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისათვის ანარიცხები იქმნება კონკრეტული ასაკის ჯგუფში ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. გაუფასურების ანარიცხების ოდენობა მგრძნობიარეა გამოყენებული კონკრეტული პროცენტებისადმი.

ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებულისაგან და კომპანია მომავალში გადასინჯავს შეფასებებს უარყოფითად ან დადებითად, რაც დამოკიდებულია საბოლოო შედეგზე ან თითოეულ რისკთან დაკავშირებული ფაქტების საფუძველზე წარმოქმნილ მოლოდინზე (შენიშვნა 13).

7 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება არ დაუწყია კომპანიას.

ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები” (ცვლილებები შევიდა 2014 წლის ივლისში და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლებია:

- მოითხოვება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია შეფასების სამ კატეგორიად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI) და მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL).
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი და აგრეთვე ის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხის გადახდებს (SPPI) წარმოადგენენ თუ არა. თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია ამოღებისათვის, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და ფლობილია პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც საწარმო ფლობს როგორც აქტივების ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, ისე აქტივების გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავენ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენენ SPPI-ს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.
- წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.
- ბასს 39-ში მოცემული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების უმეტესობა უცვლელად იქნა გადატანილი ფასს-ში 9. ძირითადი ცვლილება გახლავთ ის, რომ საწარმოს მოეთხოვება მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებების გავლენის წარდგენა სხვა სრულ შემოსავალში.
- ფასს-ით 9 შემოღებულია გაუფასურების ზარალის აღიარების ახალი მოდელი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი. ეს გახლავთ ‘სამეტაპიანი’ მიდგომა, რომელიც ეფუძნება საწყისი აღიარებიდან დაწყებული ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის ცვლილებას. პრაქტიკაში ახალი წესები ნიშნავს, რომ საწარმოებმა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით უნდა აღრიცხონ ზარალი იმ ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას, რომელთა საკრედიტო მდგომარეობა არ არის გაუფასურებული (ან მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის). როდესაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, გაუფასურების შეფასება ხდება მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით და არა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით. აღნიშნული მოდელი მოიცავს საოპერაციო გამარტივებებს საიჯარო და სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისათვის.
- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შეიცვალა, აღრიცხვის რისკის მართვასთან უფრო მეტად დასაკავშირებლად. სტანდარტი საწარმოებს უზრუნველყოფს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანით ფასს-ში 9 მოცემული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებსა და ყველა ჰეჯირებისთვის.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე აღნიშნული თარიღით არსებული ფაქტების და გარემოებების საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობა მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

სტანდარტის 2018 წლის 1 იანვარს მიღებიდან.

ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის მოსალოდნელი, გარდა FVTPL-თი კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილებებისა, რაც მიკუთვნებადია ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის ცვლილებაზე, რომელიც წარდგენილი იქნება სხვა სრულ შემოსავალში.

ახალი სტანდარტით შემოღებულია აგრეთვე განმარტებითი შენიშვნების განვრცობილი მოთხოვნები და წარდგენის ცვლილებები. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შეცვლის ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ კომპანიის განმარტებითი შენიშვნების ხასიათს და ხარისხს, განსაკუთრებით ახალი სტანდარტის შემოღების წელს.

ფასს 15, შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტით შემოღებულია ძირითადი პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ შემოსავალი უნდა აღიარდეს საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას, გარიგების ფასით. საქონლის ან მომსახურების პაკეტი, რომელიც გამორჩეულია, ცალკე უნდა აღიარდეს, ხოლო საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი ფასდაკლება ან ფასდათმობა ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკეულ ელემენტებზე. როდესაც ანაზღაურება ცვალებადია რაიმე მიზეზის გამო, უნდა აღიარდეს მინიმალური თანხები, თუ მათი ანულირების მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს. კლიენტებთან კონტრაქტების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზება უნდა განხორციელდეს და იმ პერიოდის განმავლობაში უნდა მოხდეს მათი ამორტიზება, როდესაც მიიღება კონტრაქტებიდან წარმოქმნილი სარგებელი. ცვლილებები ფასს-ში 15, კლიენტებთან კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგები (გამოცემულია 2016 წლის 12 აპრილს, ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ცვლილებებით არ იცვლება სტანდარტის საბაზისო პრინციპები, მაგრამ ახსნილია, თუ როგორ უნდა იქნეს ეს პრინციპები გამოყენებული. ცვლილებებით ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საქმიანობის შედეგის (საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის გადაცემის დაპირება) მოვალეობის იდენტიფიცირება კონტრაქტში; როგორ უნდა განისაზღვროს კომპანია ძირითად საწარმოს წარმოადგენს (საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელი) თუ აგენტს (პასუხისმგებელი საქონლის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზებაზე); და როგორ უნდა განისაზღვროს ლიცენზიის მინიჭებიდან ამონაგები დროის მომენტში უნდა აღიარდეს, თუ დროის განმავლობაში. გარდა აღნიშნული ახსნისა, ცვლილებები მოიცავს აგრეთვე ორ დამატებით გათავისუფლებას, რათა შემცირდეს დანახარჯები და სირთულე კომპანიისათვის, რომელიც პირველად იყენებს ახალ სტანდარტს.

ფასს-ში 15 მოცემული გადასვლის დებულებების შესაბამისად კომპანიამ არჩია გადასვლის გამარტივებული მეთოდი, გადასვლის ეფექტის 2018 წლის 1 იანვარს აღიარებით ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, რომელიც იქნება პირველი წელი, როდესაც ჯგუფი გამოიყენებს ფასს-ს 15.

ფასს-ის 15 მიღება გამოიწვევს ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული კომპანიის ამონაგების ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური კონტრაქტების პირობების და იმ აფექტების და გარემოებების საფუძველზე, რომლებიც არსებობდა ამ თარიღით, გადასვლის გამარტივებული მეთოდის გამოყენების თვალსაზრისით, კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვარს ახალი სტანდარტის მიღების შედეგად.

ფასს-ის 15 მიღების შედეგად ძირითადი მოსალოდნელი ცვლილებები აღწერილია ქვემოთ:

- კონტრაქტების მოდიფიკაციების აღრიცხვა,
- იდენტიფიცირებული დამატებითი შესასრულებელი მოვალეობები,
- ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა,
- მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის აღრიცხვა,
- კლიენტთა ერთგულების პროგრამების აღრიცხვა,
- ამონაგების აღიარების ვადების ცვლილება (დროთა განმავლობაში აღიარებიდან დროის მომენტში აღიარებაზე გადასვლა და პირიქით),

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

7 New Accounting Pronouncements (Continued)

- თანხის დაბრუნებების აღრიცხვა,
- ლიცენზიების აღრიცხვა,
- კონტრაქტის დადებისთვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის შესრულებისათვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის აქტივების და კონტრაქტის ვალდებულებების წარდგენა,
- სხვა.

ხელმძღვანელობა მოელის იმ თანხების შემდეგ შესწორებებს, რომლებიც აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 1 იანვარს, რაც წარმოადგენს კომპანიის მიერ ფასს-ის 15 საწყისი გამოყენების თარიღს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს გახლავთ კომპანიის ხელმძღვანელობის წინასწარი შეხედულება და შესაძლებელია, რომ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები განსხვავდებოდეს მისგან.

7 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს-ით 16 გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს-ით 16 არსებითად გადატანილია ბასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს-ით 17 ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 22 "უცხოური ვალუტით ოპერაციები და ავანსი" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ინტერპრეტაციაში განხილულია, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ოპერაციის თარიღი უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების შესახებ სტანდარტის, ბასს 21, გამოყენებისას. ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება როდესაც საწარმო ანაზღაურებას ან იხდის, ან იღებს წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხელშეკრულებების ფარგლებში. ინტერპრეტაციაში მითითებულია, რომ ოპერაციის თარიღი არის თარიღი, როდესაც საწარმო ახორციელებს საავანსო ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების საწყის აღიარებას. თუ ავანსად მრავალი გადახდა ან თანხის მრავალი მიღება განხორციელდა, ინტერპრეტაციით მოითხოვება, რომ საწარმომ ოპერაციის თარიღი განსაზღვროს თითოეული საავანსო ანაზღაურების გადახდის ან ავანსის თანხის მიღებისთვის. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 23 "განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს-ში 12 მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

როგორც უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა აღიქვას გაურკვევლობის (Condolence) მქონე ადგილების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი ექნება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია.

თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტების და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა განხორციელება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან სხვა ზომებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება ცალკე აღებული არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

არ არის მოსალოდნელი, რომ ქვემოთ მოცემული ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები არსებით გავლენას იქონიებენ კომპანიაზე:

- აქტივების გაყიდვა ან შენატანები ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის - ცვლილებები ფასს-ში 10 და ბასს-ში 28 (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის იმ თარიღით ან მას შემდეგ დაწყებულ წლიური პერიოდებისათვის, რომელსაც განსაზღვრავს ბასსს).
- ცვლილებები ფასს-ში 2, წილობრივი გადახდა (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს-ის 9, ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს-თან 4, სადაზღვევო ხელშეკრულებები - ცვლილებები ფასს-ში 4 (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს-ს 9 იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის ალტერნატივას აირჩევს).
- საინვესტიციო ქონების ტრანსფერი – ცვლილებები ბასს-ში 40 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს-ში 1 და ბასს-ში 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- გადახდილი ავანსების მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- გრძელვადიანი წილი მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებში - ცვლილებები ბასს-ში 28 (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, არ არის მოსალოდნელი, რომ აღნიშნული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 New Accounting Pronouncements (Continued)

8 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები გახლდათ შემდეგი:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
უშუალო ძირითადი კომპანიის დებიტორული დავალიანება	85	24	116
უშუალო ძირითადი კომპანიისგან ნასესხები თანხები (შენიშვნა 16)	(18,210)	(18,493)	(16,734)
უშუალო ძირითადი კომპანიისთვის გადასახდელი პროცენტი (შენიშვნა 16)	-	-	(1,274)
კრედიტორული დავალიანება უშუალო ძირითადი კომპანიის მიმართ	(717)	(468)	(2,172)

დაკავშირებული მხარეების მიმართ კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადაა შესყიდვიდან ორი თვე. კრედიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით შემოსავლების და ხარჯების მუხლები გახლდათ შემდეგი:

	2017	2016
მომსახურების მიყიდვა უშუალო ძირითად კომპანიაზე	115	107
საპროცენტო ხარჯი უშუალო ძირითადი კომპანიისთვის	(1,439)	(1,406)
სხვა საოპერაციო ხარჯები (შენიშვნა 22)	(2,173)	(3,108)

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს მენეჯმენტის საზღაურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების და საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფის (SAP), რომლის მართვა უშუალო ძირითადი კომპანიის მიერ ხორციელდება, საექსპლუატაციო დანახარჯებს.

დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით არ არსებობს სხვა უფლებები და მოვალეობები.

გამოცხადებული დივიდენდების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ შენიშვნა 15.

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

9 Property, Plant and Equipment

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა გახლდათ შემდეგი:

	მიწა და შენობები	მოწყობილობები და ინვენტარი	ავტომობილე ბი	სულ
თვითღირებულება				
2016 წ. 1 იანვარს	9,811	3,754	6,691	20,256
დამატებები	334	1,279	3,315	4,928
გასვლა	-	(268)	(1,076)	(1,344)
2016 წ. 31 დეკემბერს	10,145	4,765	8,930	23,840
დამატებები	36	2,026	2,345	4,407
გასვლა	-	(883)	(509)	(1,392)
2017 წ. 31 დეკემბერს	10,181	5,908	10,766	26,855
დაგროვილი ცვეთა				
2016 წ. 1 იანვარს	(1,317)	(2,268)	(2,664)	(6,249)
ცვეთის ხარჯი	(768)	(670)	(1,141)	(2,579)
გასვლა	-	63	712	775
2016 წ. 31 დეკემბერს	(2,085)	(2,875)	(3,093)	(8,053)
ცვეთის ხარჯი	(570)	(684)	(1,675)	(2,929)
გასვლა	-	860	347	1,207
2017 წ. 31 დეკემბერს	(2,655)	(2,699)	(4,421)	(9,775)
საბალანსო ღირებულება				
2016 წ. 1 იანვარს	8,494	1,486	4,027	14,007
2016 წ. 31 დეკემბერს	8,060	1,890	5,837	15,787
2017 წ. 31 დეკემბერს	7,526	3,209	6,345	17,080

2017 წლის 31 დეკემბერს მისამართზე, საქართველო, თბილისი, 0109, ისანი-სამგორის რაიონი, ჩანტლადის ქ. #10, I შესახვევი, მდებარე მიწა და შენობები, რომელთა საბალანსო ღირებულებაა 6,330 ათასი ლარი (2016 წ. 31 დეკემბერი: 6,746 ათასი ლარი; 2016 წ. 1 იანვარი: ნული) თიბისი ბანკის საკრედიტო ხაზის და სესხების უზრუნველყოფისთვის იყო დაგირავებული (იხილეთ შენიშვნა 16).

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

10 არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები	სხვა	სულ
თვითღირებულება			
2016 წ. 1 იანვარს	2,869	13	2,882
დამატებები	1	-	1
2016 წ. 31 დეკემბერს	2,870	13	2,883
დამატებები	205	69	274
2017 წ. 31 დეკემბერს	3,075	82	3,157
დაგროვილი ამორტიზაცია			
2016 წ. 1 იანვარს	(602)	(2)	(604)
ამორტიზაციის ხარჯი	(266)	-	(266)
2016 წ. 31 დეკემბერს	(868)	(2)	(870)
ამორტიზაციის ხარჯი	(298)	(21)	(319)
2017 წ. 31 დეკემბერს	(1,166)	(23)	(1,189)
საბალანსო ღირებულება			
2016 წ. 1 იანვარს	2,267	11	2,278
2016 წ. 31 დეკემბერს	2,002	11	2,013
2017 წ. 31 დეკემბერს	1,909	59	1,968

11 სხვა მოკლევადიანი აქტივები

	2017 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
გადავადებული დღგ	1,191	1,185	1,414
ძირითადი საშუალებებისათვის გადახდილი ავანსები	-	353	503
მთლიანა სხვა მოკლევადიანი აქტივები	1,191	1,538	1,917

გადავადებული დღგ დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების და მოწყობილობებისთვის გადახდილ დარიცხულ დღგ-თან, რაც ამოღებულია ერთ წელზე ხანგრძლივ პერიოდში. საქართველოს საგადასახდო კოდექსის მიხედვით საწარმოებს, რომელთა ბრუნვის (ანუ გაყიდვების ბრუნვის) 20%-ზე მეტი გათავისუფლებულია დღგ-გან, შეუძლიათ შენობების შეძენისთვის დარიცხული დღგ დაიბრუნონ მომდევნო 10 წლიანი პერიოდის განმავლობაში და სხვა ძირითადი საშუალებებისთვის - 5 წლიანი პერიოდის განმავლობაში.

12 მარაგი

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
გასაყიდად ფლობილი მარაგი	11,615	8,287	10,377
მარაგი გზაში	1,865	845	434
სხვა მარაგი	402	419	897
სულ მარაგი	13,882	9,551	11,708

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

ხარჯის სახით აღიარებული და გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახული მარაგის ღირებულება შეადგენდა 131,180 ათას ლარს (2016: 105,044 ათასი ლარი).

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

12 მარაგი (გაგრძელება)

მარაგი, რომლის საბალანსო ღირებულებაა 13,882 ათასი ლარი (2016 წ. 31 დეკემბერი: GEL 9,551 ათასი ლარი; 2016 წ. 1 იანვარი: 11,708 ათასი ლარი) თიბისი ბანკის საკრედიტო ხაზის და სესხების უზრუნველყოფისთვის იყო დაგირავებული (იხილეთ შენიშვნა 16).

13 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	30,779	23,412	19,465
შემცირებული: გაუფასურების ზარალის ანარიცხებით	(818)	(675)	(743)
სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის სხვა დებიტორული დავალიანება	5,373	4,709	4,156
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და დებიტორული დავალიანებების სახით	35,334	27,446	22,878
გადახდილი ავანსი	1,151	700	81
შემჩენილი ძირითადი საშუალებებისათვის დარიცხული დღგ (შენიშვნა 11)	430	463	387
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული	36,915	28,609	23,346

სავაჭრო და დებიტორული დავალიანებების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

	2017	2016
გაუფასურების ანარიცხები 1 იანვარს	675	743
დებიტორული დავალიანებების გაუფასურების ანარიცხები (შენიშვნა 22)	214	73
წლის განმავლობაში ჩამოწერილი ამორტიზაცია, როგორც ამოუღებადი	(71)	(141)
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბერს	818	675

დებიტორული დავალიანებების ნაშთის 20,300 ათასი ლარი (2016 წ. 31 დეკემბერი: GEL 12,700 ათასი ლარი; 2016 წ. 1 იანვარი: GEL 14,400 ათასი ლარი) საკრედიტო რისკი დაზღვეულ იქნა ICIC-ის, ისრაელის საკრედიტო რისკის დაზღვევის კომპანია, მიერ. ძირითადი საწარმოს მიერ ხელმოწერილი დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით ICIC კომპანიას აუნაზღაურებს კომპანიის მიერ დაზღვეული დებიტორული დავალიანებების ნაშთის 85%-ს თუ იგი ამოუღებადი გახდება.

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

13 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ქვემოთ:

	2017 წ. 31 დეკემბერი		2016 წ. 31 დეკემბერი	
	სავაჭრო დებიტორული დავალიანება	სხვა ფინანსური მოთხოვნები	სავაჭრო დებიტორული დავალიანება	სხვა ფინანსური მოთხოვნები
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული – რისკი	12,974	-	9,795	-
-საცალო ვაჭრობის ქსელები და სხვა მსხვილი კლიენტები	4,324	-	3,798	-
-ბითუმად მოვაჭრეები	7,535	-	4,726	-
-ღია ბაზრის კლიენტები	2,804	-	2,188	-
-სხვა დებიტორული დავალიანება	-	5,373	-	4,709
სულ არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	27,637	5,373	20,507	4,709
ვადაგადაცილებული და გაუფასურებული				
- 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	1,727	-	1,446	-
- 30-90 დღით ვადაგადაცილებული	369	-	585	-
- 91-180 დღით ვადაგადაცილებული	172	-	73	-
- 181-360 დღით ვადაგადაცილებული	238	-	203	-
- 360 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	636	-	598	-
სულ ვადაგადაცილებული და გაუფასურებული	3,142	-	2,905	-
შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით	(818)	-	(675)	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	29,961	5,373	22,737	4,709

2016 წ. 1 იანვარი

	სავაჭრო დებიტორული დავალიანება	სხვა ფინანსური მოთხოვნები
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული – რისკი		
-ძირითადი კლიენტები	6,444	-
-საცალო ვაჭრობის ქსელები და სხვა მსხვილი კლიენტები	4,356	-
-ბითუმად მოვაჭრეები	3,318	-
-ღია ბაზრის კლიენტები	2,360	-
-სხვა დებიტორული დავალიანება	-	4,156
სულ არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	16,478	4,156
ვადაგადაცილებული და გაუფასურებული		
- 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	1,726	-
- 30-90 დღით ვადაგადაცილებული	439	-
- 91-180 დღით ვადაგადაცილებული	229	-
- 181-360 დღით ვადაგადაცილებული	49	-
- 360 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	544	-
სულ ვადაგადაცილებული და გაუფასურებული	2,987	-

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით	(743)	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	18,722	4,156

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

14 ფული და ფულის ექვივალენტები

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
ფული სალაროში	1	1	1
ბანკის მიმდინარე ანგარიში	530	458	1,840
ფული გზაში	1	-	1
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	532	459	1,842

ფულის ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი არის შემდეგი:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	530	458	1,840
- B რეიტინგი			
სულ	530	458	1,840

15 საწესდებო კაპიტალი

2008 წლის 17 ივნისით დათარიღებული კომპანიის წესდების მიხედვით სააქციო კაპიტალი განისაზღვრა 1 ათასი ლარით.

2016 წლის 6 დეკემბერს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები 2,559 ათასი ლარი (USD 1,000,000), რაც სრულად იქნა გადახდილი 2016 წ. 27 დეკემბერს.

Notes to the Financial Statements – 31 December 2017
(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
მოკლევადიანი			
კომპანიის მესაკუთრისაგან ნასესხები სახსრები			
2017 წ. ივნისში მიღებულ იქნა 6,440 ათასი ევრო, დაფარვის ვადა 2023 წ. 31 დეკემბერი, 8%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი, ყოველთვიური გადახდებით 5,060 ათასი აშშ დოლარი მიღებული იქნა 2014 წ. ოქტომბერში, დაფარვის თარიღი 2019 წ. 30 სექტემბერი, 8%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი, კვარტალური გადახდებით	3,055	-	-
500 ათასი აშშ დოლარი მიღებული იქნა 2015 წ. აპრილში, დაფარვის თარიღი 2017 წ. 31 დეკემბერი, 8%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი, კვარტალური გადახდებით	-	7,919	4,778
950 ათასი აშშ დოლარი მიღებული იქნა 2015 წ. ივნისში, დაფარვის თარიღი 2017 წ. 31 დეკემბერი, 8%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი, კვარტალური გადახდებით	-	1,323	718
800 ათასი აშშ დოლარი მიღებული იქნა 2015 წ. აპრილში, დაფარვის თარიღი 2017 წ. დეკემბერი, 8%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი, კვარტალური გადახდებით	-	2,117	1,365
გადასახდელი პროცენტი	-	2,514	1,916
	-	-	1,274
თიზისი ბანკისგან ნასესხები სახსრები			
13,250 ათას ლარიანი საკრედიტო ხაზი, მიღებული იქნა 2017 წ. აპრილში, 10.5%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი, დაფარვის თარიღი 2018 წ. 20 აპრილი, ყოველთვიური გადახდებით	12,050	-	-
2,500 ათას ლარიანი სესხი, მიღებული იქნა 2016 წ. დეკემბერში, 11.5%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი, დაფარვის თარიღი 2018 წ. 26 დეკემბერი, ყოველთვიური გადახდებით	1,320	1,182	-
5,000 ათას ლარიანი საკრედიტო ხაზი, მიღებული იქნა 2016 წ. აპრილში, დაფარვის თარიღი 2017 წ. 20 აპრილი, 12%-იანი წლიური საპროცენტო, ყოველთვიური გადახდებით	-	5,000	-
500 ათას ლარიანი საკრედიტო ხაზი, მიღებული იქნა 2014, წ. აპრილში, 9.5%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი, დაფარვის თარიღი 2015 წ. 15 იანვარი	-	-	1,197
ყოველთვიური გადახდებით	13	-	-
გადასახდელი პროცენტი			
სულ მოკლევადიანი სესხები	16,438	20,055	11,248

კომპანიის მესაკუთრისაგან ნასესხები სახსრები			
2017 წ. ივნისში მიღებულ იქნა 6,440 ათასი ევრო,			
დაფარვის ვადა 2023 წ. 31 დეკემბერი, 8%-იანი წლიური	15,155	-	
საპროცენტო განაკვეთი, ყოველთვიური გადახდებით			
5,060 ათასი აშშ დოლარი მიღებული იქნა 2014 წ.			
ოქტომბერში, დაფარვის თარიღი 2019 წ. 30 სექტემბერი,			
8%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი,			
კვარტალური გადახდებით	-	4,620	6,568
500 ათასი აშშ დოლარი მიღებული იქნა 2015 წ. აპრილში,			
დაფარვის თარიღი 2017 წ. 31 დეკემბერი, 8%-იანი წლიური			
8%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი,			
კვარტალური გადახდებით	-	-	479
950 ათასი აშშ დოლარი მიღებული იქნა 2015 წ. ივნისში,			
დაფარვის თარიღი 2017 წ. 31 დეკემბერი, 8%-იანი წლიური			
საპროცენტო განაკვეთი, კვარტალური გადახდებით	-	-	910

29

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

ყოველთვიური გადახდებით	-	1,318	-
სულ გრძელვადიანი სესხები	15,155	5,938	7,957
სულ ნასესხები სახსრები	31,593	25,993	19,205

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

15 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

კომპანიის ნასესხები სახსრები გამოსახულია შემდეგ ვალუტებში:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
- USD	-	18,493	18,007
- GEL	13,384	7,500	1,198
- Euro	18,209	-	-
სულ ნასესხები სახსრები	31,593	25,993	19,205

მოკლევადიანი ნასესხები თანხების რეალური ღირებულება მათი საბალანსო ღირებულების ტოლია, რადგან დისკონტირების გავლენა არ არის მნიშვნელოვანი. რეალური ღირებულებები ეფუძნება ფულადი ნაკადების დისკონტირებას და რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 დონეს მიეკუთვნება.

17 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	10,630	9,361	14,820
ვალდებულებები ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის	14	96	503
ვალდებულებები არამატერიალური აქტივების შესყიდვისთვის	-	7	972
სხვა კრედიტორული დავალიანებები	142	85	119
სულ ფინანსური კრედიტორული დავალიანება	10,786	9,549	16,414
სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში			
დარიცხული მომუშავეთა გასამრჯელოების დანახარჯები	1,191	1,169	699
გადასახადების საკრედიტო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	1,694	1,596	1,245
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13,671	12,314	18,358

18 ამონაგები

ამონაგები კატეგორიების მიხედვით:

	2017	2016
Procter & Gamble -ის პროდუქცია	87,902	86,680
Nestle Food & Beverage -ის პროდუქცია	42,434	31,937
Nestle Infant Nutrition -ის პროდუქცია	5,417	4,839
სხვა ამონაგები	36,212	16,957
სულ ამონაგები	171,965	140,413

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

19 სხვა შემოსავალი

	2017	2016
მომწოდებლობისგან მიღებული კომპენსაციები	957	2,066
სადაზღვევო შემოსავალი	181	232
სხვა მასალების გასვლიდან მიღებული შემოსულობა	96	26
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა	57	102
სხვა შემოსავალი	106	63
მთლიანი სხვა შემოსავალი	1,397	2,489

20 მარკეტინგის და დისტრიბუციის დანახარჯები

	2017	2016
პერსონალის დანახარჯები	8,539	6,183
სარეკლამო დანახარჯები	6,536	7,695
ტრანსპორტირების ხარჯები	2,183	1,299
დისტრიბუციისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	1,550	1,168
სულ მარკეტინგის და დისტრიბუციის დანახარჯები	18,808	16,345

21 ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
პერსონალის დანახარჯები	5,359	4,747
ცვეთის ხარჯი	1,698	1,677
უსაფრთხოების ხარჯი	312	312
საოფისე მასალები	247	156
კომუნალური ხარჯი	215	188
სამივლინებო ხარჯები	139	96
კომუნიკაციის ხარჯები	132	97
წარმომადგენლობითი ხარჯები	70	98
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	8,172	7,371

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

22 სხვა ხარჯები

	2017	2016
SAP-თან დაკავშირებული ხარჯები	1,297	1,659
ხელმძღვანელობის ანაზღაურება	770	467
სადაზღვევო ხარჯი	748	614
საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯი	428	978
პროფესიული მომსახურების ანაზღაურება*	365	315
საწყობის ხარჯები	317	165
დაზიანებული და ვადაგასული საქონლის ჩამოწერა	238	237
უიმედო ვალების ხარჯი	214	73
საბანკო მომსახურების ხარჯები	194	303
იჯარის ხარჯები	173	125
ქონების გადასახადის ხარჯი	170	156
მოგების გადასახადის ხარჯი	95	-
თრეინინგის ხარჯი	88	108
ბანკის გარანტიის ხარჯები	81	57
მომუშავეთა გასამრჯელოების დაბეგვრის ხარჯი	59	119
სხვა ხარჯები	303	448
მთლიანი სხვა ხარჯები	5,540	5,824

(*) პროფესიული მომსახურების ანაზღაურება მოიცავს 235 ათას ლარს (2016: 213 ათასი ლარი) - აუდიტორის/აუდიტის ფირმის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად გაწეული აუდიტის და სხვა პროფესიული მომსახურების ანაზღაურებას.

23 მოგების გადასახადი

	2017	2016
გასული პერიოდის მოგების გადასახადის ხელახლა შეფასება	455	(771)
გადავადებული გადასახადის ხელახალი შეფასება საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების გამო	-	1,030
მოგების გადასახადის კრედიტი	455	259

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, როგორც ეს შენიშვნაში 4 არის ახსნილი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ კომპანიის აქტივების და ვალდებულებების თანხებსა და საგადასახადო ორგანოს მიერ აღიარებულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობამ, და ამჟამად გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის და საგადასახადო კრედიტის მომდევნო პერიოდში გადატანამ წარმოქმნა დროებითი სხვაობები ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივების საბალანსო ღირებულებებსა და მათ დასაბეგრ ბაზას შორის. საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების გამო ხელახალი შეფასების გავლენის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

	2016 წ. 1 იანვარი	ხელახლა შეფასება კანონში ცვლილებების გამო	2016 წ. 31 დეკემბერი
გამოქვითვადი დროებითი სხვაობების საგადასახადო გავლენა			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	989	(989)	-
მარაგი	37	(37)	-
ნასესხები თანხები	195	(195)	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	65	(65)	-
მთლიანი გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი	1,286	(1,286)	-
გამოქვითვადი დროებითი სხვაობების საგადასახადო გავლენა			
ძირითადი საშუალებები	(2,029)	2,029	-
არამატერიალური აქტივები	(287)	287	-

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

მთლიანი გადავადებული მოგების საგადასახადო ვალდებულება (2,316)	2,316	-
წმინდა გადავადებული მოგების საგადასახადო ვალდებულება (1,030)	1,030	-

24 გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოვალეობები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური დოკუმენტების გამოცემით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად არ არის ცალსახა, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და შემოწმებას მრავალი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელთაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, საურავების და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ განხილვისათვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტების და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. კომპანიას შემდეგი აქტივები აქვს ჩადებული თიბისი ბანკიდან ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით:

	შენიშვნა	2017 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 1 იანვარი
ძირითადი საშუალებები	9	6,330	6,746	-
მარაგი	11	13,882	9,551	11,708
სულ		20,212	16,297	11,708

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. კომპანიამ უნდა შეასრულოს გარკვეული შეთანხმებული პირობები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია მის მიერ თიბისი ბანკისგან ნასესხებ თანხებთან. მსგავსი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები კომპანიისათვის, მათ შორის სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. კომპანია შესაბამისობაში იყო აღნიშნულ პირობებთან 2017 წლის 31 დეკემბერს.

გარმოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.

25 ფინანსური რისკის მართვა

26 ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა13)	29,961	22,737	18,722
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	5,373	4,709	4,156
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა14)	530	458	1,840
- საბანკო ნაშთები, გადასახდელი მოთხოვნისას			
სულ საბალანსო რისკი	35,864	27,904	24,718
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი	35,864	27,904	24,718

კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის ერთ პარტნიორთან, ან პარტნიორების ჯგუფთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. საკრედიტო რისკის ზღვრების დაწესება პროდუქტის და დარგის მიხედვით რეგულარულად მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ. მსგავსი რისკების მონიტორინგი ხორციელდება რეგულარულ საფუძველზე და ექვემდებარება წლიურად, ან უფრო მეტი სიხშირით გადახედვას.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკების კონცენტრაციის რისკი. 2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიას 13 ძირითადი პარტნიორი ჰყავდა (2016 წ. 31 დეკემბერი: 8 პარტნიორი; 2016 წ. 1 იანვარი: 8 პარტნიორი). მათი მთლიანი დებიტორული დავალიანებების ნაშთები გახლდათ 14,330 ათასი ლარი (2016 წ. 31 დეკემბერი: 10,670 ათასი ლარი; 2016 წ. 1 იანვარი: 7,654 ათასი ლარი), ანუ მთლიანი სავაჭრო და დებიტორული დავალიანებების 47% (2016 წ. 31 დეკემბერი: 46%; 2016 წ. 1 იანვარი: 39%).

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ, მიმართებით. ამასთან, თითოეულ მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

25 Financial Risk Management (Continued)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგიც [ყოველთვიურად] ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2017წ. 31 დეკ.		
	ფულადი ფინ. აქტივები	ფულადი ფინ. ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	128	1,250	(1,122)
ევრო	4	18,299	(18,295)
თურქული ლირა	-	71	(71)
რუსული რუბლი	16	-	16
ქართული ლარი	35,718	22,759	12,959
სულ	35,866	42,379	(6,513)

	2016 წ. 31 დეკემბერს			2016 წ. 1 იანვარს		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსურ ვალდ.	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსურ ვალდ.	წმინდა საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	59	19,458	(19,399)	184	28,904	(28,720)
ევრო	-	104	(104)	-	233	(233)
თურქული ლირა	-	108	(108)	-	-	-
რუსული რუბლი	-	153	(153)	-	-	-
ქართული ლარი	27,846	15,719	12,127	24,536	6,482	18,054
სულ	27,905	35,542	(7,637)	24,720	35,619	(10,899)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. მიჩნეულია, რომ ინვესტიციები კაპიტალში და არაფულადი აქტივები არ წარმოქმნიან რაიმე არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები არ იცვლება:

	2017	2016
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(112)	(1,940)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	112	1,940
ევროს გამყარება 10%-ით	(1,830)	(10)
ევროს გაუფასურება 10%-ით	1,830	10
თურქული ლირას გამყარება 10%-ით	(7)	(11)
თურქული ლირას გაუფასურება 10%-ით	7	11
რუსული რუბლის გამყარება 10%-ით	2	(15)
რუსული რუბლის გაუფასურება 10%-ით	(2)	15

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში გამოსახული ფულადი ნაშთებისათვის,

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

რომლებიც განსხვავდება კომპანიის სამუშაო ვალუტისაგან.

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

25 Financial Risk Management (Continued)

25 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებით, დაჯგუფებული საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო გადაფასების ან დაფარვის ვადების მიხედვით.

	მოთხოვნა 1-6 თვემდე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
2017 წ. 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	21,360	13,438	555	-	35,866
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,088	4,879	4,207	4,986	42,379
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2017წ. 31 დეკემბერს	13,272	8,559	(3,652)	(4,986)	(6,513)
2016წ. 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	17,859	9,269	264	-	27,905
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,804	5,543	5,015	8,181	35,542
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2016წ. 31 დეკემბერს	9,055	3,726	(4,751)	(8,181)	(7,637)
2016წ. 1 იანვარი					
სულ ფინანსური აქტივები	17,291	6,883	33	-	24,720
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,398	7,812	946	-	35,619
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2016წ. 1 იანვარს	6,893	(929)	(913)	-	(10,899)

საპროცენტო განაკვეთი 100 საბაზისო პუნქტით დაბალი რომ ყოფილიყო, ყველა სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, წლის მოგება იქნებოდა 246 ათასი ლარით (2016: 184 ათასი ლარი) მეტი, ძირითადად ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებების შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთის გამო.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის მონიტორინგს ყოველთვიურად ახორციელებს. კომპანია ცდილობს დაფინანსების სტაბილური საფუძვლის შენარჩუნებას, რაც ძირითადად სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებებს მოიცავს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის მთლიანი ფინანსური იჯარის ვალდებულებებს (სამომავლო ფინანსური ხარჯების გამოქვითვამდე). მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

25 Financial Risk Management (Continued)

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადანაგარიშდება ოფიციალური გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბერს:

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1 - 3 თვე	3 - 12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 17)	7,385	3,259	-	-	-	10,644
სხვა ფინანსური გადასახდელები (შენიშვნა 17)	142	-	-	-	-	142
ნასესხები თანხები (შენიშვნა 16)	561	1,178	7,289	26,118	5,323	40,469
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	8,088	4,437	7,289	26,118	5,323	51,255

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბერს:

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1 - 3 თვე	3 - 12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 17)	8,189	1,275	-	-	-	9,464
სხვა ფინანსური გადასახდელები (შენიშვნა 17)	85	-	-	-	-	85
ნასესხები თანხები (შენიშვნა 16)	2,407	1,596	7,828	18,084	1,120	31,035
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი და პროცენტის გადახდების ჩათვლით	10,681	2,871	7,828	18,084	1,120	40,584

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2016 წლის 1 იანვარს:

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1 – 3 თვე	3 -12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
Trade payables (შენიშვნა 17)	10,298	5,997	-	-	-	16,295
სხვა ფინანსური გადასახდელები (შენიშვნა 17)	119	-	-	-	-	119
ნასესხები თანხები (შენიშვნა 16)	356	2,738	4,634	12,811	-	20,539
						37

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	10,773	8,735	4,634	12,811	-	36,953
---	--------	-------	-------	--------	---	--------

25 Financial Risk Management (Continued)

26 რეალური ღირებულების გამჟღავნება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ არის შეფასებული, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულების გამჟღავნება ხდება. რეალური ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით რეალური ღირებულებების ანალიზი და იმ აქტივების და ვალდებულებების საბალნსო ღირებულებები, რომელთა რეალური ღირებულებით შეფასება არ ხდება:

	2017 წლის 31 დეკემბერი			საბალანსო ღირ.
	რეალური ი ღირ. დონე 1	რეალური ი ღირ. დონე 2	რეალური ი ღირ. დონე 3	
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- ფული და ფულის ექვივალენტები	532	-	-	532
- სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებები	-	35,334	-	35,334
სულ აქტივები	532	35,334	-	35,866
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ფინანსური კრედიტორული დავალიანებები	-	10,786	-	10,786
- ნასესხები სახსრები	-	31,593	-	31,593
სულ ვალდებულებები	-	42,379	-	42,379

	2016 წლის 31 დეკემბერი			საბალანსო ღირ.
	რეალური ი ღირ. დონე 1	რეალური ი ღირ. დონე 2	რეალური ი ღირ. დონე 3	
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- ფული და ფულის ექვივალენტები	459	-	-	459
- სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებები	-	27,446	-	27,446
სულ აქტივები	459	27,446	-	27,905

ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ფინანსური კრედიტორული დავალიანებები	-	9,549	-	9,549

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

- ნასესხები სახსრები	-	25,993	-	25,993
სულ ვალდებულებები	-	35,542	-	35,542

26 რეალური ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

	2016 წ. 1 იანვარი			
	რეალური ი ღირ. დონე 1	რეალური ი ღირ. დონე 2	რეალური ი ღირ. დონე 3	საბალ ანსო ღირ.
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- ფული და ფულის ექვივალენტები	1,842	-	-	1,842
- სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებები	-	22,878	-	22,878
სულ აქტივები	1,842	22,878	-	24,720
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ფინანსური კრედიტორული დავალიანებები	-	16,414	-	16,414
- ნასესხები სახსრები	-	19,205	-	19,205
სულ ვალდებულებები	-	35,619	-	35,619

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასებული იქნა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებულნი აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასებული იქნა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

27 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნებისათვის ბასს-ით 39, „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ოთხ კატეგორიად: (ა) სესხები და მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს თავის მხრივ ორი ქვეკატეგორია გააჩნიათ: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) დაფარვის ვადამდე ფლობილად კლასიფიცირებული. ამასთან, ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანება ქმნის ცალკე კატეგორიას. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი ხვდება სესხების

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში, გარდა ფინანსური წარმოებულებისა. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა წარმოებულებისა, აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი სესხების და დებიტორული დავალიანების კატეგორიაში ხვდება. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღრიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

28 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ არ მომხდარა რაიმე მოვლენა, რაც განაპირობებდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან განმარტებით შენიშვნაში ასახვას.

შპს დიპლომატ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბერი

თბილისი 11-51-67

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1 დიპლომატ ჯორჯია და მისი საქმიანობა	5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	5
3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	5
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
5 ფასს-ების პირველად გამოყენება	14
6 ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობის და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	15
7 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები	16
8 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
9 ძირითადი საშუალებები	21
10 არამატერიალური აქტივები	22
11 სხვა გრძელვადიანი აქტივები	22
12 მარაგი	22
13 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	23
14 ფული და ფულის ექვივალენტები	25
15 საწესდებო კაპიტალი	25
16 ნასესხები სახსრები	26
17 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	27
18 ამონაგები	27
19 სხვა შემოსავალი	28
20 მარკეტინგის და დისტრიბუციის დანახარჯები	28
21 ადმინისტრაციული ხარჯები	28
22 სხვა ხარჯები	29
23 მოგების გადასახადი	29
24 გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოვალეობები	30
25 ფინანსური რისკის მართვა	31
26 რეალური ღირებულების გამჟღავნება	35
27 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით	36
28 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	36

ორი-ს-ნ-ნ

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს დიპლომატ ჯორჯია-ს მფლობელს და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შპს დიპლომატ ჯორჯია-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

რისი აუდიტი განვახორციელეთ

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებს და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშის შემდეგ ნაწილში: *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ კომპანიისაგან დამოუკიდებლები ვართ *ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების* საბჭოს მიერ შემუშავებული *პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის* (IESBA-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებულ 'მმართველობით ანგარიშგებას', (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის ანგარიშს), რომელიც მოსალოდნელია, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, მათ შორის 'მმართველობით ანგარიშგებას'.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენ

ოქროს ხელი

პასუხისმგებელნი ვართ წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია როდესაც იგი ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის და განვსაზღვროთ ეს სხვა ინფორმაცია ხომ არ არის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან ჩვენს მიერ აუდიტის ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას. ამასთან, ჩვენ მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, 'მმართველობითი ანგარიშგების' გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, 'მმართველობითი ანგარიშგება' მოიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ გამოვუშვებთ განახლებულ ანგარიშს, სადაც ან განვაცხადებთ რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება, ან აღვეჩეთ არსებით უზუსტობას რომელსაც აღმოვაჩენთ აღნიშნულ 'მმართველობითი ანგარიშგებაში' გარემოებების შესახებ ჩვენი ცოდნის საფუძველზე, რომელიც მოვიღეთ ჩვენს მიერ აუდიტის ჩატარებისას. ზემოთ ნახსენები მოსაზრება ჩვენი განახლებული ანგარიშის ნაწილი იქნება.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაშაადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ აქვს სხვა რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში მოიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გავცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის ჩატარების მთელ პერიოდში. ჩვენ ასევე ვახორციელებთ შემდეგს:

- ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება, გამოწვეული იქნება ეს თაღლითობით თუ შეცდომით, და აუდიტორული პროცედურების შემუშავება და განხორციელება აღნიშნული რისკების საპასუხოდ და აუდიტორულ მტკიცებულების მოპოვება, რომელიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით განპირობებული არსებითი უზუსტობის ვერ გამოვლენის რისკი უფრო დიდია, ვიდრე შეცდომით

ორივე წიგნი

გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორ წარმოდგენას, ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.

- აუდიტთან დაკავშირებული შიდა კონტროლის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შესწავლა, რათა შევიმუშავოთ ისეთი აუდიტორული პროცედურები, რომლებიც არსებულ გარემოებებს შეესაბამება, მაგრამ არა იმისათვის, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მართებულობის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გამოტანა ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მართებულობის შესახებ, და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე დასკვნის გამოტანა არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეკვი წარმოქმნას კომპანიის შესაძლებლობაზე, რომ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ მოგვეთხოვება აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გაავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებში, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები არ არის ადეკვატური, მოვახდინოთ აუდიტორული მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა, ან პირობებმა შეიძლება განაპირობოს კომპანიის როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა.
- ფინანსური ანგარიშგების საერთო წარდგენის, სტრუქტურის და შინაარსის, მათ შორის განმარტებითი შენიშვნების, და აგრეთვე იმის შეფასება, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები ისე არის თუ არა ასახული, რომ მიღწეულ იქნას სამართლიანი წარდგენა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ სხვა საკითხებთან ერთად ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

[ხელმოწერა]

შპს ფრანსიკოთერკაუსკუპერს საქართველო-ს (Reg.# SARAS-F-775813) სახელით

ლაშა ჯანელიძე (Reg.# SARAS-A-562091)

[ხელმოწერა]

თბილისი, საქართველო
27 მარტი, 2018 წ.

თქვენი

DIPLOMAT GEORGIA LLC

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

შენიშვნა	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	17,080	15,787
არმატოლოგიური აქტივები	10	1,968	2,013
სხვა გრძელვადიანი აქტივები	11	1,191	1,538
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,239	19,338
მოკლევადიანი აქტივები			
მაგარი	12	13,882	9,551
საფაქრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	13	36,915	28,609
მიმდინარე მოგების გადასახადის ავანსი	23		67
ფული და ფულის ექვივალენტები	14	532	459
სულ მოკლევადიანი აქტივები		51,329	38,619
სულ აქტივები		71,568	57,957
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	1	1
გაუნაწილებელი მოგება		26,303	19,318
სულ საკუთარი კაპიტალი		26,304	19,319
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	16	15,155	5,938
გადავადებული მოგების საგადასახადო ვალდებულება	23		1,030
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15,155	6,968
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	16	16,438	20,055
საფაქრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	17	13,671	12,314
მიმდინარე საგადასახადო კრედიტორული დავალიანებები	23		331
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		30,109	32,700
სულ ვალდებულებები		45,264	38,619
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		71,568	57,957

გამოსაგებად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2018 წ. 27 მარტს

თამარ
კოვზირიძე
გენერალური
მენეჯერი

ალონ
მოლაპაიშიან
ფინანსური
დეპარტამენტის
უფროსი

თქმ. ხ. ხიზია

DIPLOMAT GEORGIA LLC

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ამონაჯიბი	18	171,965	140,413
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(131,180)	(105,044)
მთლიანი მოგება		40,785	35,369
სხვა შემოსავალი	19	1,397	2,489
მარკეტინგის და დისტრიბუციის	20	(18,808)	(16,345)
დანახარჯები			
ადმინისტრაციული ხარჯები	21	(8,172)	(7,371)
სხვა ხარჯები	22	(5,540)	(5,824)
საოპერაციო მოგება		9,662	8,318
ფინანსური შემოსავალი		38	46
ფინანსური დანახარჯები		(2,214)	(1,752)
წმინდა სავალუტო ზარალი		(956)	(1,564)
მოგება მოგების გადასახადით		6,530	5,048
დაბეგვრამდე			
მოგების საგადასახადო კრედიტი	23	455	259
წლის მოგება		6,985	5,307
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		6,985	5,307

The accompanying notes on pages 5 to 36 are an integral part of these financial statements.

თქვენი წყალობით

DIPLOMAT GEORGIA LLC

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგე
(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

	საწყისდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წ. 1 იანვარს	1	16,571	16,572
წლის მოგება	-	5,307	5,307
სულ წლის სრული შემოსავალი	-	5,307	5,307
გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა15)	-	(2,560)	(2,560)
ნაშთი 2016 წ. 31 დეკემბერს	1	19,318	19,319
წლის მოგება	-	6,985	6,985
სულ წლის სრული შემოსავალი	-	6,985	6,985
ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბერს	1	26,303	26,304

The accompanying notes on pages 5 to 36 are an integral part of these financial statements.

თქვენი ხელმოწერა

DIPLOMAT GEORGIA LLC

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		6,530	5,048
შესწორებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10	3,248	2,845
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გასვლიდან	9	(57)	(102)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		956	1,564
დაზიანებული და ვადაგასული საქონლის ჩამოწერა	22	238	237
საპროცენტო ხარჯი		2,214	1,752
გამოყენებული შვებულებების ანარიცხები		169	348
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხები	17	214	73
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		(4,569)	2,142
მარაგის (გაზრდა)/შემცირება		(8,471)	(4,681)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაზრდა		1,007	(5,044)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების შემცირება		(6)	-
სხვა გრძელვადიანი აქტივების შემცირება			
ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		1,473	4,181
გადახდილი პროცენტი		(1,728)	(2,899)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(457)
წმინდა ფულადი ნაკადი (გამოყენებული)/ საოპერაციო საქმიანობიდან		(255)	825
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	9	(3,972)	(4,433)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	10	(281)	(965)
ამონაგები ძირითადი საშუალებების გასვლიდან		188	201
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,065)	(5,197)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
თანხის შემოსვლა ნასესხები სახსრებიდან	16	86,521	17,209
ნასესხები სახსრების გადახდა		(82,209)	(10,829)
გადახდილი დივიდენდები		-	(2,730)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		4,312	3,650
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		81	(661)
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა გაზრდა/(შემცირება)		73	(1,383)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	14	459	1,842
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	14	532	459

The accompanying notes on pages 5 to 36 are an integral part of these financial statements.

თქვენი ხელმოწერა

1 დიპლომატ ჯორჯია და მისი საქმიანობა

შპს დიპლომატ ჯორჯია („კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

კომპანია დაფუძნდა 2008 წლის 17 ივნისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 204557121.

კომპანიის უშუალო ძირითადი საწარმო და 100%-ის მფლობელი არის Diplomat Distributors (1968 წ.), ისრაელში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. კომპანიის საბოლოო ძირითადი კომპანია არის Ramon Cosmetics (Holdings) Ltd.

2017 წელს კომპანიაში საშუალოდ 638 თანამშრომელი იყო დასაქმებული (2016 წ.: 487).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სილამაზის, საოჯახო და ჯანდაცვის პროდუქციის ფართო სპექტრის დისტრიბუცია და გაყიდვა დამოუკიდებელი საბითუმო ქსელის მეშვეობით. კომპანია არის Procter & Gamble-ის (P&G) და Nestle-ს პროდუქციის ექსკლუზიური და ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. მას ფილიალები აქვს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში და საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. P&G-ის და Nestle-ს პროდუქტებთან ერთად კომპანია ახორციელებს აგრეთვე სურსათის და სასმელის პროდუქტების დისტრიბუციას.

რეგისტრაციის და საქმიანობის განხორციელების ადგილი. კომპანია დაფუძნებულია და ძირითადად საქმიანობას ახორციელებს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0109, ისანი-სამგორის რაიონი, ჩანტლადის ქ. #10, I შესახვევი.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში (GEL).

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოს აქვს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირად იცვლება.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ზომებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ საკითხებთან ერთად.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის წინასწარგანჭვრეტა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, და შესაბამისად არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს რა გავლენა, თუ ასეთი იქნება, შეიძლება ჰქონდეს მას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობის და განვითარების მხარდასაჭერად.

3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც მომზადებულია ბასსს-ს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“IFRS”) შესაბამისად.

ორი 1215

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2017 წ. 31 დეკემბერი
(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

შეფასების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება აგრეთვე ხელმძღვანელობის მიერ განჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია შენიშვნაში 6.

अपने लेखन

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”).

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით კონვერტაციიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯების სახით. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით.

2017 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური სავალუტო კურსი იყო: 1 აშშ დოლარი (“USD”) = GEL 2.5922 და 1 ევრო (“EUR”) = GEL 3.1044 (2016 წლის 31 დეკემბერს:

USD 1 = GEL 2.6468 და EUR 1 = 2.7940; 2015 წლის 31 დეკემბერს: USD 1 = GEL 2.3949 და EUR 1 = 2.6169).

დღეისათვის ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული აკუმულირებული ცვეთით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროების შემთხვევაში. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან ცალკე აქტივად აღიარდება, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწვევითანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

DIPLOMAT GEORGIA LLC

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2017 წ. 31 დეკემბერი
(თანები გამოსახულია ათას ლარში)

- ☐ მოწყობილობები და ინვენტარი 2-6 წელი
- ☐ ავტომანქანები და სხვა 3-7 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული შეფასებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნიათ, და ძირითადად წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით და ლიცენზიებით.

შემძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შემენის და გამოყენების დასაწყებად გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

შექმნაზე გაწეული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რასაც აკონტროლებს კომპანია, აღირიცხება არამატერიალური აქტივების სახით, თუ მოსალოდნელია ნაზრდი ეკონომიკური სარგებლის, რაც აჭარბებს დანახარჯებს, შემოსვლა. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯებს და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს. ამ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯები, მაგ. მისი მოვლა-შენახვის ხარჯები, გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფის და ლიცენზიების სასარგებლო მომსახურების ვადები 3 წლიდან 10 წლამდე დიაპაზონშია.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, უდიდეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივებს, რომლებსაც განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნიათ და მზადაა გამოსაყენებლად, არ ერიცხებათ ამორტიზაცია და ყოველწლიურად ხდება მათი გაუფასურებაზე ტესტირება. აქტივების, რომლებსაც ერიცხებათ ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებას განიხილავენ, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ამოღებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა ხდება (ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების (გუდვილის გარდა) ადრინდელი გაუფასურებები ყოველი საანგარიშგებო თარიღით განიხილება შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

მედიკალური ცენტრი

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)
რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად
ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე
კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების
ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი
დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის
შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ
შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი რესურსი). რეალური ღირებულების
დონეების იერარქიაში ცვლილებები განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა
26.

მეორე დონე

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გარიგების დანახარჯები გახლავთ ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში შემცირებული ჩამოწერილი გაუფასურების ზარალით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის თანხაზე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევე განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ოთხ კატეგორიად: (ა) სესხები და მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები, აღრიცხული რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს თავის მხრივ ორი ქვეკატეგორია გააჩნიათ: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) დაფარვის ვადამდე ფლობილად კლასიფიცირებული.

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა გაყიდვა აქვს განზრახული კომპანიას ახლო მომავალში. კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს 'სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს' და 'ფულს და ფულის ექვივალენტებს' ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ

ორი (2251)

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, როდესაც ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (როგორცაა მაგალითად ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯები) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს 'სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს' და 'ნასესხებ სახსრებს' ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება. გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები, წარმოებულები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, მიმატებული გარიგების დანახარჯები. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას.

ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადებში, შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით, რაც გახლავთ თარიღი, როდესაც კომპანიამ აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

მრწმ ნახელ

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფული და ფულის ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულის და ფულის ექვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღრიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის („ზარალის გამომწვევი მოვლენები“) შედეგად, რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ და რასაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის, საიმედოდ შეფასებად სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასა და ვადებზე. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, მიუხედავად იმისა მნიშვნელოვანია იგი თუ არა, იგი მოცემულ აქტივს ასახავს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და მათ კოლექტიურად შეაფასებს განსაზღვრის გაუფასურებულია თუ არა ფინანსური აქტივი, გახლავთ ვადაგადაცილების მდგომარეობა და დაკავშირებული უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს.

ორი 12-12

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)
იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება,
გამოიყენება აგრეთვე შემდეგი კრიტერიუმები:

- პარტნიორი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რასაც ადასტურებს კომპანიის მიერ მოპოვებული მისი ფინანსური ინფორმაცია;
- პარტნიორი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- ნაციონალური ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებების შედეგად უარყოფითი ცვლილება მსესხებლის მიერ სესხის დაფარვის სტატუსში, რაც გავლენას ახდენს მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

გაუფასურებაზე კოლექტურად შეფასების მიზნებისათვის ფინანსურ აქტივებს აჯგუფებენ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მახასიათებლები შესაფერისია მსგავსი აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისათვის, რადგან ისინი გვიჩვენებენ მოვალის უნარს, განახორციელოს შესაფასებელი აქტივების სახელმწიფო პირობებით გათვალისწინებული ყველა გადახდა.

მ. რ. მ. 12-11-19

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების ჯგუფის ფულადი ნაკადები ფასდება ამ აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და ხელმძღვანელობის გამოცდილების საფუძველზე იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გადავადდება თანხების დაფარვა წარსულში მომხდარი ზარალის მოვლენების გამო, და აგრეთვე ვადაგადაცილებული თანხების ამოღების ისტორიის საფუძველზე. წარსული გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა გათვალისწინებული იქნეს იმ არსებული პირობების გავლენა, რომლებიც წარსულ პერიოდებში არ ახდენდნენ გავლენას და რათა არ იქნეს გათვალისწინებული წარსულში არსებული იმ პირობების გავლენა, რომლებიც დღეს აღარ არსებობს.

თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაისინჯება ან სხვაგვარად მოდიფიცირდება მსესხებლის ან გამცემის ფინანსური სირთულეების გამო, მაშინ გაუფასურების შეფასება ხდება თავდაპირველი, მოდიფიცირებამდე არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. შემდეგ გადასინჯული აქტივის აღიარება შეწყდება და ახალი აქტივი აღიარდება რეალური ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის რისკები და სარგებელი არსებითად არის შეცვლილი. როგორც წესი, აღნიშნულის მტკიცებულება გახლავთ არსებითი განსხვავება თავდაპირველი ფულადი ნაკადების და ახალი, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებებს შორის.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ანარიცხების ანგარიშის მეშვეობით ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებამდე (რაც არ შეიცავს სამომავლო საკრედიტო ზარალს, რომელიც ჯერ არ არის მიღებული). უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშებაში გათვალისწინებულია ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას დაგირავებული ქონების მეგირავნის საკუთრებაში გადასვლიდან, შემცირებული გირაოს მიღების და გაყიდვის ხარჯებით, მიუხედავად იმისა, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების მეგირავნის საკუთრებაში გადასვლა.

თუ შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და აღნიშნული შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული მოვლენასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ (როგორცაა მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მაშინ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება ანარიცხების ანგარიშის კორექტირებით მოცემული წლის მოგება-ზარალის მეშვეობით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება დაკავშირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხის საპირისპიროდ აქტივის ამოსაღებად ყველა აუცილებელი პროცედურის განხორციელების და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში ამოღება დაკრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე მოცემული წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება

მედი სთი

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)
ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე რომელიც რეალური ღირებულებით არ აღირიცხება რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს, თუ კაპიტალიზების დაწყების თარიღი არის 2016 წლის 1 იანვარი ან შემდგომი თარიღი.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის თარიღი, როდესაც (ა) ჯგუფი ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის; (ბ) იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად. კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება გრძელდება იმ თარიღამდე, როდესაც აქტივები ძირითადად მზადაა გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

კომპანია ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო კვალიფიციურ აქტივებზე. კაპიტალიზებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება კომპანიის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება კვალიფიციურ აქტივებზე დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად კვალიფიციური აქტივის შეძენისათვის. ასეთ შემთხვევაში კაპიტალიზდება კონკრეტული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებით ფაქტიურად გაწეული დანახარჯები, შემცირებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლით ამ ნასესხები თანხების დროებითი ინვესტირებიდან.

მ. რ. 12265

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე. იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი/(კრედიტი) მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს, და აღიარებოდა წლის მოგება ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი დაკავშირებული იყო ოპერაციებთან, რომლებიც იგივე ან სხვა პერიოდში აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი გახლავთ თანხა, რომელიც მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნება მისაღები მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახება ბალანსის ვალდებულების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან შემდეგში შევა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანუღირდება ან გამოყენებული იქნება შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანუღირდება და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნება იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება, როდესაც არსებობს იურიდიულად აღსრულებადი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივებით მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადფარვისათვის და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებულია იგივე საგადასახადო ორგანოს მიერ იგივე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არ არსებობს ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების

მრგ 1145

DIPLOMAT GEORGIA LLC

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2017 წ. 31 დეკემბერი
(თანხები გამოსახულია ათას ლარში)

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასახადი გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებული დივიდენდების ფაქტიურ მოგების გადასახადს.

აღმ. 12.10

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივის და ვალდებულების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბერს და შესაბამისი გავლენა ასახა 2016 წლის მოგება-ზარალში. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, დარიცხული დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული დარიცხული დღგ გადავადდება 5-10 წლით იმ საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შეძენაზე. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის

მწმ (აბმ)

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)
ხარჯებით.

ფასდაკლებები, ბონუსები და კომპენსაციები. ზოგჯერ საქონლის მომწოდებლები კომპანიას სთავაზობენ სავაჭრო ფასდაკლებებს, ბონუსებს და კომპენსაციებს, რაც შემდეგნაირად აღირიცხება:

სავაჭრო ფასდაკლებები, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა მსგავსი მუხლები გამოიქვითება მარაგის შესყიდვის დანახარჯებიდან.

გაყიდვებთან დაკავშირებული ხარისხობრივი ინდიკატორების მიღწევისათვის მომწოდებლებისაგან მიღებული ბონუსები გამოიქვითება უშუალოდ გაყიდული საქონლის თვითღირებულებიდან.

კომპანიის მიერ მომწოდებლის სახელით გაწეული კონკრეტული დანახარჯების ანაზღაურებისათვის მომწოდებლებისაგან მიღებული კომპენსაციები გადაიფარება შესაბამისი ხარჯებით (როგორიცაა მაგალითად რეკლამის, მარკეტინგის ხარჯები, მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ფასდათმობები/ფასდაკლებები, და ა.შ.).

ბაზრის ან ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენისთვის (როგორიცაა მაგალითად სავალუტო კურსების არახელსაყრელი ცვლილებები, ინფლაცია, და ა.შ.) მომწოდებლებისაგან მიღებული ზოგადი კომპენსაცია აღიარდება, როგორც სხვა შემოსავალი იმ პერიოდში, როდესაც თანხა საიმედოდ განისაზღვრება (ანუ როდესაც დამტკიცდება მომწოდებლის მიერ).

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი დადგენილია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ცვლილება (სააქციო კაპიტალის, საკუთრების და სხვა ჩათვლით) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ ვალდებულებისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინსაწარი გადახდის სახით.

როდესაც კომპანია მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, ეს ანაზღაურება აღიარდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტიურად გარდუვალია.

მრეწველ (2017)

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც კომპანიის საქმიანობისათვის დაკმაყოფილება სპეციფიკური კრიტერიუმები. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამონაგები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკების და უკუგების გადაცემის მომენტში, როგროც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც კომპანია თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა კლიენტს.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეული იქნა მომსახურება, კონკრეტული ოპერაციის შესრულების ეტაპის გათვალისწინებით, რაც ფასდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების წილით მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულ საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ორი სასა

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი (როგორიცაა მაგალითად ჯანდაცვის მომსახურება და საბავშვო ბაღის მომსახურება), დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეული იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანია არ ეწევა რაიმე ხარჯებს თანამშრომელთა პენსიების ან შრომითი საქმიანობის შემდგომი სხვა გასამრჯელოების სახით.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის, ვინც ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს, მიერ დამტკიცება.

5 ფასს-ების პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შესაბამისობაშია ფასს-თან. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2016 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, ფასს 1-ით მოითხოვება ფასს-ის იმ ვერსიის რეტროსპექტულად გამოყენება, რომელიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, ფასს-ის შესაბამისი პირველ ფინანსურ ანგარიშგების ფასს-ის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისათვის 2016 წლის 1 იანვარს და შემდეგ პერიოდებში. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა სხვა ფასს-ების რეტროსპექტული გამოყენების სავალდებულო გამოწვევები და არჩია შემდეგი არასავალდებულო გამოწვევების გამოყენება:

- (a) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. კომპანიამ არჩია ბასს-ში 23 მოცემული მითითებების გამოყენება, რომლებითაც მოითხოვება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან.

გამონაკლისები რეტროსპექტული გამოყენებიდან, რაც სავალდებულოა ფასს 1-ის შესაბამისად, გახლავთ შემდეგი:

- a) შეფასებები. ფასს 1-ის შესაბამისად შეფასებები 2016 წლის 1 იანვარს და 2016 წლის 31 დეკემბერს თანმიმდევრული უნდა იყოს იგივე თარიღებით მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ების მიხედვით გაკეთებული შეფასებებისა.
- b) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომელთა აღიარების შეწყვეტა განხორციელდა ფასს-ზე გადასვლამდე, ხელახლა არ აღიარდება ფასს-ის შესაბამისად. ხელმძღვანელობამ არ არჩია ბასს 39-ში მოცემული აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმების ვადაზე ადრე გამოყენება.

ფასს-ებზე გადასვლამდე კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა 'მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების' შესაბამისად (ფასს-ები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის). ფასს-ების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად კომპანიის მიერ ანგარიშგებული საკუთარი კაპიტალი არ განსხვავდება ფასს-ების შესაბამისად 2016 წლის 1 იანვარს და 2016 წლის 31 დეკემბერს ანგარიშგებული საკუთარი კაპიტალისაგან.

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფასს-ების შესაბამისად კომპანიის მიერ ანგარიშგებული მოგება არ განსხვავდება ფასს-ების შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ანგარიშგებული მთლიანი სრული შემოსავლისაგან.

Handwritten signature/initials

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფასს-ების შესაბამისად კომპანიის მიერ ანგარიშგებული კომპანიის საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური ფულადი ნაკადები არ განსხვავდება ფასს-ების შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ანგარიშგებული ფულადი ნაკადებისაგან.

იმ კომპანიების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს-ებს, არ უნდა შეიცავდეს ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღების ეფექტებს.

Handwritten signature

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017
(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

6 ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობის და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება. დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხები ემყარება კომპანიის მიერ კონკრეტული მომხმარებლისგან თანხების ამოღებადობის შეფასებას. ძირითადი მომხმარებლის საკრედიტო რეიტინგის გაუარესების ან ფაქტიურად დეფოლტის შემთხვევების სიხშირე შეფასებულზე მაღალია, ფაქტორი დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებულისაგან. როდესაც კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებულ დებიტორულ დავალიანებასთან, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, მიმართებით, იგი მოცემულ დებიტორულ დავალიანებას შეიყვანს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების დებიტორული დავალიანებების ჯგუფში და მათ კოლექტიურად შეაფასებს გაუფასურებაზე.

გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასების მიზნებისათვის დებიტორულ დავალიანებებს აჯგუფებენ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მახასიათებლები შესაფერისია მსგავსი აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისათვის, რადგან ისინი გვიჩვენებენ მოვალის უნარს, განახორციელოს შესაფასებელი აქტივების სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული ყველა გადახდა. სავაჭრო დებიტორული დავალიანებას, რომელიც ინდივიდუალურად შეფასებულია, რომ არ არის გაუფასურებული, კოლექტიურად აფასებენ გაუფასურებაზე კომპანიის მიერ მსგავსი ასაკის დებიტორული დავალიანებების ამოღების ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისათვის ანარიცხები იქმნება კონკრეტული ასაკის ჯგუფში ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. გაუფასურების ანარიცხების ოდენობა მგრძნობიარეა გამოყენებული კონკრეტული პროცენტებისადმი.

ფაქტორი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებულისაგან და კომპანია მომავალში გადასინჯავს შეფასებებს უარყოფითად ან დადებითად, რაც დამოკიდებულია საბოლოო შედეგზე ან თითოეულ რისკთან დაკავშირებული ფაქტების საფუძველზე წარმოქმნილ მოლოდინზე (შენიშვნა 13).

თქვენი ხელია

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

7 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება არ დაუწვია კომპანიას.

ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები" (ცვლილებები შევიდა 2014 წლის ივლისში და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის), ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლებია:

- მოითხოვება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია შეფასების სამ კატეგორიად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI) და მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL).
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის მიზნის-მოდელი და აგრეთვე ის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხის გადახდებს (SPPI) წარმოადგენენ თუ არა. თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია ამოღებისათვის, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და ფლობილია პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც საწარმო ფლობს როგორც აქტივების ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, ისე აქტივების გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავენ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენენ SPPI-ს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.
- წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამოჩნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.
- ბასს 39-ში მოცემული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების უმეტესობა უცვლელად იქნა გადატანილი ფასს-ში 9. ძირითადი ცვლილება გახლავთ ის, რომ საწარმოს მოეითხოვება მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებების გადგენის წარდგენა სხვა სრულ შემოსავალში.
- ფასს-ით 9 შემოღებულია გაუფასურების ზარალის აღიარების ახალი მოდელი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი. ეს გახლავთ 'სამეტაპიანი' მიდგომა, რომელიც ეფუძნება საწყისი აღიარებიდან დაწყებული ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის ცვლილებას. პრაქტიკაში ახალი წესები ნიშნავს, რომ საწარმოებმა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით უნდა აღრიცხონ ზარალი იმ ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას, რომელთა საკრედიტო მდგომარეობა არ არის გაუფასურებული (ან მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის). როდესაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, გაუფასურების შეფასება ხდება მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით და არა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით. აღნიშნული მოდელი მოიცავს საომერაციო გამარტივებებს საიჯარო და სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის.
- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შეიცვალა, აღრიცხვის რისკის მართვასთან უფრო მეტად დასაკავშირებლად. სტანდარტი საწარმოებს უზრუნველყოფს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანით ფასს-ში 9 მოცემული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებსა და ყველა ჰეჯირებისთვის.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე აღნიშნული თარიღით არსებული ფაქტების და გარემოებების

თქმის ხელმოწერა

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობა მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის 2018 წლის 1 იანვარს მიღებიდან.

ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის მოსალოდნელი, გარდა FVTPL-ით კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილებებისა, რაც მიკუთვნება ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის ცვლილებაზე, რომელიც წარდგენილი იქნება სხვა სრულ შემოსავალში.

მკმრ ხრეტი-ნი

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017
(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

ახალი სტანდარტით შემოღებულია აგრეთვე განმარტებითი შენიშვნების განვრცობილი მოთხოვნები და წარდგენის ცვლილებები. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შეცვლის ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ კომპანიის განმარტებითი შენიშვნების ხასიათს და ხარისხს, განსაკუთრებით ახალი სტანდარტის შემოღების წელს.

ფასს 15, შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გამოიკა 2014 წლის 28 მაისს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტით შემოღებულია ძირითადი პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ შემოსავალი უნდა აღიარდეს საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას, გარიგების ფასით. საქონლის ან მომსახურების პაკეტი, რომელიც გამოჩეულია, ცალკე უნდა აღიარდეს, ხოლო საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი ფასდაკლება ან ფასდათმობა ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკეულ ელემენტებზე. როდესაც ანაზღაურება ცვალებადია რაიმე მიზეზის გამო, უნდა აღიარდეს მინიმალური თანხები, თუ მათი ანულისების მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს. კლიენტებთან კონტრაქტების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზება უნდა განხორციელდეს და იმ პერიოდის განმავლობაში უნდა მოხდეს მათი ამორტიზება, როდესაც მიიღება კონტრაქტებიდან წარმოქმნილი სარგებელი. ცვლილებები ფასს-ში 15, კლიენტებთან კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგები (გამოცემულია 2016 წლის 12 აპრილს, ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ცვლილებებით არ იცვლება სტანდარტის საბაზისო პრინციპები, მაგრამ ახსნილია, თუ როგორ უნდა იქნეს ეს პრინციპები გამოყენებული. ცვლილებებით ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საქმიანობის შედეგის (საქონლის ან მომსახურების) კლიენტისათვის გადაცემის დაპირება) მოვალეობის იდენტიფიცირება კონტრაქტში; როგორ უნდა განისაზღვროს კომპანია ძირითად საწარმოს წარმოადგენს (საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელი) თუ აგენტს (პასუხისმგებელი საქონლის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზებაზე); და როგორ უნდა განისაზღვროს ლიცენზიის მინიჭებიდან ამონაგები დროის მომენტში უნდა აღიარდეს, თუ დროის განმავლობაში. გარდა აღნიშნული ახსნისა, ცვლილებები მოიცავს აგრეთვე ორ დამატებით გათავისუფლებას, რათა შემცირდეს დანახარჯები და სირთულე კომპანიისათვის, რომელიც პირველად იყენებს ახალ სტანდარტს.

ფასს-ში 15 მოცემული გადასვლის დებულებების შესაბამისად კომპანიამ არჩია გადასვლის გამარტივებული მეთოდი, გადასვლის ეფექტის 2018 წლის 1 იანვარს აღიარებით ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, რომელიც იქნება პირველი წელი, როდესაც ჯგუფი გამოიყენებს ფასს-ს 15.

ფასს-ის 15 მიღება გამოიწვევს ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული კომპანიის ამონაგების ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური კონტრაქტების პირობების და იმ აფქტების და გარემოებების საფუძველზე, რომლებიც არსებობდა ამ თარიღით, გადასვლის გამარტივებული მეთოდის გამოყენების თვალსაზრისით, კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვარს ახალი სტანდარტის მიღების შედეგად.

ფასს-ის 15 მიღების შედეგად ძირითადი მოსალოდნელი ცვლილებები აღწერილია ქვემოთ:

- კონტრაქტების მოდიფიკაციების აღრიცხვა,
- იდენტიფიცირებული დამატებითი შესასრულებელი მოვალეობები,
- ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა,
- მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის აღრიცხვა,
- კლიენტთა ერთგულების პროგრამების აღრიცხვა.

რეგისტრირებული

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

7 New Accounting Pronouncements (Continued)

- ამონაგების აღიარების ვადების ცვლილება (დროთა განმავლობაში აღიარებიდან დროის მომენტში აღიარებაზე გადასვლა და პირიქით),
- თანხის დაბრუნებების აღრიცხვა,
- ლიცენზიების აღრიცხვა,
- კონტრაქტის დადებისთვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის შესრულებისათვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის აქტივების და კონტრაქტის ვალდებულებების წარდგენა,
- სხვა.

ხელმძღვანელობა მოელის იმ თანხების შემდეგ შესწორებებს, რომლებიც აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 1 იანვარს, რაც წარმოადგენს კომპანიის მიერ ფასს-ის 15 საწყისი გამოყენების თარიღს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს გახლავთ კომპანიის ხელმძღვანელობის წინასწარი შეხედულება და შესაძლებელია, რომ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები განსხვავდებოდეს მისგან.

მკმ/ ს. გიგინეიძე

7 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის), ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღება. შესაბამისად, ფასს-ით 16 გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს-ით 16 არსებითად გადატანილია ბასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს-ით 17 ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული ფინანსური საქმიანობის აღრიცხვისათვის, მათ შორის სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ზაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებებზე) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივებზე) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებებში მომსახურების მარფა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 22 "უცხოური ვალუტით ოპერაციები და ავანსი" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ინტერპრეტაციაში განხილულია, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ოპერაციის თარიღი უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების შესახებ სტანდარტის, ბასს 21, გამოყენებისას. ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება როდესაც საწარმო ანაზღაურებს ან იხდის, ან იღებს წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხელშეკრულებების ფარგლებში. ინტერპრეტაციაში მითითებულია, რომ ოპერაციის თარიღი არის თარიღი, როდესაც საწარმო ახორციელებს საავანსო ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების საწყის აღიარებას. თუ ავანსად მრავალი გადახდა ან თანხის მრავალი მიღება განხორციელდა, ინტერპრეტაციით მოითხოვება, რომ საწარმომ ოპერაციის თარიღი განსაზღვროს თითოეული საავანსო ანაზღაურების გადახდის ან ავანსის თანხის მიღებისთვის. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 23 "განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით"

თქმ. 11.5.1.6

DIPLOMAT GEORGIA LLC

Notes to the Financial Statements – 31 December 2017

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

